ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 12-31

"9" თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „კ" ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014, სარეგისტრაციო კოდი:040110030.35.101.016060) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ც" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) ბილინგის სისტემით გადახდა - ანგარიშსწორების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ვებგვერდზე (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) განთავსებული გადახდის ფორმის - ინვოისის შესაბამისად ხორციელდება თანხის კომერციულ ბანკში ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით გადახდა. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს გადახდილი თანხის ავტომატურ და მყისიერ ასახვას აუქციონატორის ანგარიშზე (ელექტრონული აუქციონის სისტემაში)."

მუხლი 2 . დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის NN№19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია სს „ლიბერთი ბანკის“ შესახებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის NN№19-72 დადგენილებაში არსებული ჩანაწერის გაუქმების აუცილებლობით.

პროექტის მიზანია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესიდან ამოღებულ იქნას კონკრეტული კომერციული ბანკის მითითება.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებულ წესში და წესის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტში უქმდება სს „ლიბერთი ბანკის“ შესახებ არსებული ჩანაწერი, ხოლო მის ნაცვლად, ბილინგის სისტემით მომსახურებასთან დაკავშირებით განისაზღვრება ნებისმიერი კომერციული ბანკი.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ერთეულის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.